თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 9

31 ივლისი 2020 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 26 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილი თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა ორკოდაშვილი;**

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი;**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარე **ალექსანდრე კუპატაძე;**

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
თავმჯდომარე ალექსი ძულიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ მუსაევი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე ბესიკი ქოჩიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე ვასილ არაბული;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე გიგა მამუკელაშვილი;

საკრებულოს ფრაქცია
„ქართული ოცნება-კონსერვატორები“
თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
თავმჯდომარის მოადგილე ბაადური რევაზიშვილი;

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, გურამ წულუკიძე, გოჩა წაწალაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი, აბრამ მახარიაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**
საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტარიელ გალახვარიძე;**

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
12.00სთ-დან - 12.10 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

12.10სთ-დან -12.20 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

12.20სთ-დან -12.30 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

12.30სთ-დან -12.40 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული სპოტსმენებისა და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ.

მომხს. გ.ორკოდაშვილი

12.40სთ-დან -12.50 სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

12.50სთ-დან -12.55 სთ-მდე

7. საკრებულოს წევრის მიხეილ გრემელაშვილისათვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

12.55სთ-დან -13.00 სთ-მდე

8. ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მაია მარკოზაშვილის შვებულების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

13.00სთ-დან -13.05 სთ-მდე

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

ლ.კოჭლოშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ მოითხოვა სიტყვით გამოსვლის უფლება, რაზეც თავმჯდომარისაგან მიიღო თანხმობა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

12.00სთ-დან - 12.10 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ა.შათირიშვილმა** აღნიშნა, რომ საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტში აღნიშნული საძოვრების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმა.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
12.10სთ-დან -12.20 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **გ.ორკოდაშვილმა, ლ.კოჭლოშვილმა, ა.ძულიაშვილმა** აღნიშნეს, რომ პროექტში წარმოდგენილია საიჯარო ქირა 1200 ლარის ოდენობით, შსაბამის კომისიას კი მიაჩნია, რომ აღნიშნული თანხა შესაძლებელია გავზარდოთ და განვსაზღვროთ უფრო მეტით, რადგან ვადა მითითებულია 5 წელი. შესაძლოა მომავალში ეს თანხა იყოს ძალიან ცოტა.

საკრებულოს წევრების მიერ აგრეთვე აღინიშნა, რომ შესაძლებელია საიჯარო ვადა შემცირდეს და განისაზღვროს უფრო ნაკლები ვადით, ხოლო საიჯარო ქირა დარჩეს პროექტის შსაბამისი.

ა.შათირიშვილმა დააყენა საკითხი წარმოდგენილ პროექტში შეტანილ იქნეს კორექტირება, კერძოდ: საიჯარო ვადა 5 წლის მაგიერ განისაზღვროს 1 წლით და კენჭი ეყაროს აღნიშნული სახით.

ჩატარდა კენჭისყრა: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტისათვის“ გადაცემას ერთი წლის ვადით (საიჯარო ქირა 1200 ლარი), მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23(ოცდასამი)წევრმა, **წინააღმდეგი** 03(სამი) წევრი.

გადაწყვიტეს: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტისათვის“ გადაცემას ერთი წლის ვადით (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23(ოცდასამი) წევრმა, **წინააღმდეგი** 03(სამი) წევრი - **ა.ძულიაშვილი, ა.კუპატაძე, ბ.რევაზიშვილი.**

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
12.20სთ-დან -12.30 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ა.შათირიშვილმა** აღნიშნა, რომ კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიაჩნია პროექტში აღნიშული მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანა.

ჩატარდა კენჭისყრა: სოფელ კისისხევში არსებული მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანას მხარი არ დაუჭირა არც ერთმა საკრებულოს წევრმა, **წინააღმდეგი:** 26 (ოცდაექვსი) წევრი.

გადაწყვიტეს: **სოფელ კისიხევში არსებული მიწის ნაკვეთი არ იქნეს შეტანილი საპრივატიზაციო ნუსხაში.**

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>5.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული სპოტსმენებისა და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ.

მომხს. გ.ორკოდაშვილი
12.40სთ-დან -12.50 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.რევაზიშვილმა** დასვა კითხვა საკითხის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ, რაზეც მომხსენებელმა განმარტა, რომ დადგენილება ამოქმედდება მომავალი წლიდან და ფინანსური საკითხიც გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში.

ა.ძულიაშვილმა, ა.თვალიაშვილმა.

საკრებულოს წევრებმა იმედი გამოთქვეს, რომ პროექტის დამტკიცება გამოიწვევს მუნიციპალიტეტის სპორტსმენების მოტივაციის გაზრდას და მაღალი შედეგების ჩვენებას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>6.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.50სთ-დან -12.55 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23-მა (ოცდასამი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 03 (სამი) წევრმა: **ა.ძულიაშვილმა, ა.პუპატაძემ, ბ.რევაზიშვილმა.**

<u>7.მოისმინეს:</u> საკრებულოს წევრის მიხეილ გრემელაშვილისათვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.55სთ-დან -13.00 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ნ.ხვისტანმა საკრებულოს წევრებს** წარუდგინა სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა - საკრებულოს წევრ მიხეილ გრემელაშვილის უფლებამოსილების შეჩერებასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ სასამართლოს განჩინების საფუძველზე 2020 წლის 11 ივლისიდან საკრებულოს წევრ მიხეილ გრემელაშვილს აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების გამო შეუჩერდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

<u>გადაწყვიტეს:</u> 2020 წლის 11 ივლისიდან მიხეილ გრემელაშვილის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეჩერება **მიღებულ იქნეს ცნობად.**

8.მოისმინეს: ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მაია მარკოზაშვილის შვებულების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
13.00სთ-დან -13.05 სთ-მდე

გადაწყვიტეს: **მიმდინარე წლის 20 ივლისიდან 04 აგვისტოს ჩათვლით** ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მაია მარკოზაშვილის შვებულება **მიღებულ იქნეს ცნობად.**

ლ.კოჭლოშვილმა ისაუბრა სოფელ ართანის სასმელი წყლით მომარაგების არსებული პრობლემების შესახებ და აღნიშნა, რომ სოფელი ელოდება პროექტის განხორციელებას, მაგრამ მერიას ჯერ არ აქვს გამოცხადებული ტენდერი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით ტენდერი უნდა გამოცხადდეს უახლოეს დღეებში.
მან, ასევე ისაუბრა სტიქიის შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის გარკვეული დოზით ანაზღაურების აუცილებლობის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**